ა(ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

07.08.2013 №139

თბილისი

სტუ-ს ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის
ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^7 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2013 წლის 02 აგვისტოს №0301-7/62 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე თანდართული პირობების შესაბამისად.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღების ვადა სამეცნიერო ქვედანაყოფების ხელმძღვანელის სამეცნიერო თანამდებობებზე განისაზღვროს 2013 წლის 24 აგვისტოდან 2013 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო სხვა სამეცნიერო თანამდებობებზე – 2013 წლის 16 სექტემბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით. განაცხადები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტში, მისამართზე: თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა №5, ტელ: 218 76 33, 11 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. სამეცნიერო ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სამეცნიერო თანამდებობები:
   - მათემატიკური კიბერნეტიკის განყოფილების უფროსი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
   - სტოქასტური ანალიზისა და მათემატიკური მოდელირების განყოფილების უფროსი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
   - სახეთა ამოცნობის გამოყენებითი სისტემების განყოფილების უფროსი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
   - ბიოკიბერნეტიკული სისტემების განყოფილების უფროსი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
   - გამოთვლითი ტექნიკის ელემენტებისა და ნანომასალების განყოფილების უფროსი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
   - კოჰერენტული ოპტიკის და ელექტრონიკის განყოფილების უფროსი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
   - ოპტიკურ-ქიმიურ კვლევათა ლაბორატორიის გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
   - ინფორმაციის ჰოლოგრაფიული ჩაწერისა და დამუშავების ლაბორატორიის გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული

2. სხვა სამეცნიერო თანამდებობები:
   - გამოთვლითი ტექნიკის ელემენტებისა და ნანომასალების განყოფილებაში:
     1. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 (ერთ) საშტატო ერთეული
     2. მეცნიერი თანამშრომელი - 2 (ორი) საშტატო ერთეული
   - კოჰერენტული ოპტიკის და ელექტრონიკის განყოფილებაში:
     1. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
     2. მეცნიერი თანამშრომელი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
   - ბიოკიბერნეტიკული სისტემების განყოფილებაში:
     მეცნიერი თანამშრომელი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

- სამეცნიერო ქვედანაყოფის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი
- მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი
- უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი
- მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი მაინც

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია;
- დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (სამეცნიერო ქვედანაყოფის ხელმძღვანელისთვის და მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის აუცილებელია);
- გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
- პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების და გამოყენების აქტების ჩამონათვალი (სასურველია);
- სამეცნიერო ქვედანაყოფის განვითარების ხედვა (მხოლოდ სამეცნიერო ქვედანაყოფის ხელმძღვანელისთვის)